

საიდ. N81957/03

IR1244957

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №67-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე, თ. ჯაფარიძე, ს. ებრალიძე, თ. კველიშვილის მდივნობით, განიხილა კომპანიის „მონსტერ ენერჯი კომპანი, დელავერის შტატის კორპორაცია“ (Monster Energy Company, a Delaware corporation) N67-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 10 მარტის N739/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც სასაქონლო ნიშანზე

„MONSTROUS“ (საიდ. N81957/03 IR1244957) მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება საქართველოში დაცვის მინიჭების შესახებ კომპანიის „პერფეტი ვან მელე ს.პ.ა.“ (PERFETTI VAN MELLE S.P.A.) სახელზე 30-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „მონსტერ ენერჯი კომპანი, დელავერის შტატის კორპორაცია“ (Monster Energy Company, a Delaware corporation) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის პოზიციით, სადავო სასაქონლო ნიშანი „MONSTROUS“ (საიდ. N81957/03 IR1244957) არ ექვემდებარება საქართველოში დაცვას საქონლის საერთაშორისო კლასიფიკაციის 30-ე კლასის ჩამონათვალისათვის, ვინაიდან იგი მსგავსია საქართველოში უფრო ადრინდელი პრიორიტეტით 29-ე და 30-ე კლასებისათვის რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნებისა: „JAVA MONSTER“ (რეგ.№: 22026, რეგ. თარიღი: 30.11.2011); „MONSTER REHAB“ (რეგ.№ 22573, რეგ. თარიღი: 30.04.2012); „MONSTER“ (რეგ. № 23662, რეგ. თარიღი: 17.05.2013); „MONSTER DETOX“ (რეგ.№ 23822, რეგ. თარიღი: 25.06.2013); „MONSTER REHABITUATE“ (რეგ.№ 24217, რეგ. თარიღი: 04.11.2013). აპელანტის განმარტებით, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები ან წარმოდგენილია, როგორც სიტყვიერი აღნიშვნა „MONSTER“ ან შეიცავს აღნიშნულ სიტყვას. ამასთან, სიტყვა „MONSTER“ წარმოადგენს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების დომინანტ ელემენტს.

სიტყვიერი აღნიშვნა „MONSTER“ ვიზუალური, ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით აღრევამდე მსგავსია სადავო სასაქონლო ნიშნის „MONSTROUS“ (საიდ. N81957/03 IR1244957).

აპელანტის განმარტებით, სადავო სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური სტანდარტული ასოებით და შედგება 9 ასოსაგან. ნიშანი შეიძლება პირობითად ორ ნაწილად დაიყოს: „MONST“ და „ROUS“. რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები ასევე, შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასოებით და ძირითადად ორი სიტყვისაგან შედგება, რომელთაგან ერთი - „MONSTER“ ყველა ნიშანში უცვლელად ფიგურირებს, ხოლო მეორე სიტყვა ამ სასაქონლო ნიშნებისა უმეტეს შემთხვევაში ზედსართავი სახელია და განმარტებით ხასიათს ატარებს. სიტყვა „MONSTER“ შეიძლება პირობითად დავყოთ ორ ნაწილად - „MONST“ და „ER“. სადავო სასაქონლო ნიშნის და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების ძირითადი სიტყვიერი ელემენტის პირველი ნაწილები იდენტურია და მთლიანობაში მათი წარმოთქმისას ფონეტიკური მსგავსება აშკარაა.

აპელანტის განმარტებით, სადავო და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია სემანტიკური თვალსაზრისით. სხადასხვა მომხმარებლისათვის სიტყვას „MONSTER“ განსხვავებული დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს. ზოგიერთი მომხმარებლისათვის ის შეიძლება აღქმული იყოს, როგორც ზებუნებრივი ძალა ან სიძლიერე, სიმამაცე ან თავზეხელაღებულობა, გიგანტი, გოლიათი, ბუმბერაზი და ა.შ.. მსგავსად აღიქმება აღნიშვნა „MONSTROUS“ - ზებუნებრივად ძლიერი, მძლავრი, მამაცი, თავზეხელაღებულის, გიგანტი, გოლიათი, ბუმბერაზი.

აპელანტის პოზიციით, ერთგვაროვანია 29-ე და 30-ე კლასების საქონლის ჩამონათვალი, რომლისთვისაც რეგისტრირებულია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები და 30-კლასის საქონელი, რომლისთვისაც მოითხოვება სადავო სასაქონლო ნიშნის დაცვა საქართველოში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 10 მარტის N739/03 ბრძანების

ბათილად ცნობას, რომლითაც სასაქონლო ნიშანზე „MONSTROUS“ (საიდ. N81957/03 IR1244957) მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება საქართველოში დაცვის მინიჭების შესახებ კომპანიის „პერფეტი ვან მელე ს.პ.ა.“ (PERFETTI VAN MELLE S.P.A.) სახელზე 30-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2014 წლის 19 აგვისტოს N05 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „სიმბოლოების მსგავსების დადგენის ძირითადი კრიტერიუმი შეიძლება იყოს სიმბოლოების სმენითი (ფონეტიკა, მუსიკალური ჟღერადობა), მხედველობითი (გრაფიკა, ფერთა შეხამება), აზრობრივი (სემანტიკა, არსი) მსგავსება. სიმბოლოების შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სადავო სასაქონლო ნიშანი „MONSTROUS“ (საიდ. N81957/03 IR1244957) და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი: „MONSTER“ (რეგ. № 23662, რეგ. თარიღი: 17.05.2013) წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის ნაწილის მიმართ. ნიშნები მსგავსია ვიზუალური, ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით.

სადავო და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია ლათინური სტანდარტული ასომთვარული ასოებით. სადავო სასაქონლო ნიშანი შედგება 9 ასოსაგან, ხოლო რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი შედგება 7 ასოსაგან, რომელთაგან პირველი 5 ასო იდენტურია - „MONST“, „MONST“, რაც ზრდის ნიშნებს შორის ვიზუალურ მსგავსებას და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. ამასთან, სიტყვიერი სასაქონლო ნიშნის შემთხვევაში მომხმარებელი უკეთ აღიქვამს და იმახსოვრებს ნიშნის საწყის ნაწილს, რომელიც დაპირისპირებული ნიშნების შემთხვევაში იდენტურია - „MONST“ და „MONST“. მართალია სადავო ნიშანს აქვს განსხვავებული დაბოლოება, მაგრამ აღნიშნული ნიშანს ვერ სძელს საკმარის განსხვავებას.

ნიშნები აღრევამდე მსგავსია ფონეტიკური თვალსაზრისით, ვინაიდან ისინი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „მონსტერ“ და „მონსტეროუს“.

ნიშნებს შორის მსგავსება ზრდის მათი სემანტიკური მნიშვნელობა. ორივე სასაქონლო ნიშნის სემანტიკა დაკავშირებულია მოსტრთან, ურჩხულთან.

რაც შეეხება, სადავო და რეგისტრირებული ნიშნების საქონლის ჩამონათაღს, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ 30-ე კლასის მიმართ ნიშნების საქონლის ჩაონათვალი გარკვეულ ნაწილში აღრევამდე მსგავსია. სადავო სასაქონლო ნიშანი განცხადებულია 30-ე კლასის შემდეგი ჩაონათვალის მიმართ: „Caramels, candy, cake dough, chewing gum, chocolate, jellies (confectionery), lollipops, toffee, candy mints, pastilles, liquorice [confectionery], sugar, coffee, cocoa“. ხოლო რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „MONSTER“ (რეგ. № 23662, რეგ. თარიღი: 17.05.2013) რეგისტრირებულია 30-ე კლასის შემდეგი ჩაონათვალის მიმართ: „ყავის ფუძეზე დამზადებული სასმელები, რძის შემცველი ყავის ფუძეზე დამზადებული სასმელები“. სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სადავო და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩაონათვალი 30-ე კლასის მიმართ აღრევამდე მსგავსია შემდეგ ნაწილში: „coffee, cocoa“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნისთვის „MONSTROUS“ (საიდ. N81957/03 IR1244957) დაცვის მინიჭებაზე ნაწილობრივ უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „მონსტერ ენერჯი კომპანი, დელავერის შტატის კორპორაცია“ (Monster Energy Company, a Delaware corporation) N67-03/16 სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. ბათილად იქნეს ცნობილი „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 10 მარტის N739/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „MONSTROUS“ (საიდ. N81957/03 IR1244957) მიენიჭა დაცვა საქართველოში 30-ე კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
3. სასაქონლო ნიშანს „MONSTROUS“ (საიდ. N81957/03 IR1244957) მიენიჭოს დაცვა საქართველოში 30-ე კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „Caramels,

candy, cake dough, chewing gum, chocolate, jellies (confectionery), lollipops, toffee, candy mints, pastilles, liquorice [confectionery], sugar“.

- წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

მ. ფრუიძე

წევრები:

თ. ჯაფარიძე

ს. ებრალიძე